



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევსტათი მცხეთელი



ქართული ენციკლოპედია

ევსტათი მცხეთელი

მათთან ერთად მაზდეანთა მთავარ რელიგ. დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე. ამის გამო იგი დააბეზღეს მცხეთის სპარსელ ციხისთავ უსტამთან, რ-მაც ე. მ., სხვა შვიდ გაქრისტიანებულ სპარსელთან ერთად, მარბჰან არვანდ გუშნასპს თბილისში გაუგზავნა დასასჯელად. ქართლის კათოლიკოსისა და მთავრების თხოვნით იმავე მარბჰანმა 6 თვის შემდეგ სპარსეთში გამგზავრების წინ ე. მ. ციხიდან გაათავისუფლა. სამი წლის შემდეგ, როცა ქართლში ახ. მარბჰანი – ვეჟან ბუმბირი მოვიდა, მცხეთელ სპარსელებს ევსტათი მასთანაც დაუსმენიათ. მარბჰანი ცდილობდა ე. მ. მამაპაპეულ სარწმუნოებაზე დაებრუნებინა, მაგრამ ამაოდ. ე. მ. სიკვდილით დასაჯეს. მისი ცხოვრება აღწერილია VI ს. უცნობი ავტორის თხზულებაში „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. საქართვე.

ევსტათი მცხეთელი (გ. დაახლ. 550), ქრისტიანობისათვის წამებული სპარსელი არშაკეთის პროვინციის ქ. განძაკიდან. გაქრისტიანებამდე ერქვა გვირობანდაკი. მამამისი მოგვი იყო და მასაც მოგვად ზრდიდა, მაგრამ ე. მ. ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას დაეჭვდა მაზდეანური სარწმუნოების ჭეშმარიტებაში და ქრისტიანობის მხარეზე გადაიხარა. ამ გრძნობით შეპყრობილი 30 წლის ე. მ. სპარსეთის შაჰის ხოსრო ანუშირვანის (531-579) მეფობის მე-10 წელს ქართლში ჩამოვიდა და მცხეთაში დასახლდა. აქ მან შეისწავლა მენაღეობა, დაუახლოვდა ადგილ. ქრისტიანებს და ცოლად შეირთო ქრისტიანი ქალი. ამის შემდეგ უფრო შეიყვარა ქრისტ. რჯული და მოინათლა კიდევ კათოლიკოს სამოელის ხელით, რ-მაც მას ევსტათი დაარქვა. ე. მ-მა მცხეთაში მცხოვრებ სპარსელ ხელოსნებს უარი უთხრა,

მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმ. მონაქმე ე. მ. წმინდანად შერაცხა. ხსენების დღეა 29. VII (11. VIII).

წყარო: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 1, თბ., 1963.

ა. ბოგვერაძე
